საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის
დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 285
29/11/2022

285-2-4-202211291742

„სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით კონკურსის (#2/1) გამოცხადების თაობაზე" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 14.03.2022 წლის #44 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1.„სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით კონკურსის (#2/1) გამოცხადების თაობაზე" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 14.03.2022 წლის #44 ბრძანებით დამტკიცებულ „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსის პირობებში" შევიდეს ცვლილება, შეიცვალოს: გამარჯვებულ კონკურსანტებზე სუბსიდიების გაცემის და ეროვნულ კინოცენტრთან ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობები და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „გამარჯვებულ პროექტებზე გამოყოფილი დაფინანსების მიღების და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, პროდიუსერმა არაუგვიანეს 2023 წლის 1 ნოემბრისა უნდა წარმოადგინოს კინოცენტრში ბიუჯეტის სრულად შევსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუ პროექტის პროდიუსერი 2023 წლის 1 ნოემბრამდე ვერ წარმოადგენს კინოცენტრში ბიუჯეტის სრულად შევსების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, პროდიუსერის არგუმენტირებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, კინოცენტრის დირექტორი განიხილავს დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ერთჯერადად გაზრდის საკითხს, არაუმეტეს 2025 წლის 25 იანვრისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ პროექტის ფინანსური მხარდაჭერის გადაწყვეტილება ძალას კარგავს. გამარჯვებული პროექტის

პროდიუსერი ვალდებულია წარმოებაში ჩაშვებიდან 2 წლის ვადაში დაასრულოს ფილმი.“

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ვებ - გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი